პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№32 (4026)

15 თებერვალი, კვირა.

1970 წ.

ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერსპექტივაში...

როგორც ბულგარული გაზეთი „ნაროდენ სპორტი“ იუწყება, სსრ კავშირი, ესპანეთი და იუგოსლავია დასახელებული არიან მსოფლიოს 1982 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური გათამაშების მასპინძელ ქვეყნებად.

1974 წლის ფინალი უნდა ჩატარდეს გფრ-ში, 1978 წლისა — არგენტინაში.

თბილისის საერთაშორისო ტურნირმა ძიუდოში ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდას გაუხსნა დიდი სარბიელის გზა. განსაკუთრებული მონდომებით ჭიდაობდნენ იუნიორები, რომლებმაც სპეციალისტთა საერთო მოწონება დაიმსახურეს. ერთ-ერთი მათგანი — თბილისელი ე. გიგუაშვილი საშუალო წონის ფალავანთა ტურნირის ფინალშიც კი გავიდა. გიგუაშვილმა კარგი ტექნიკა, დიდი მონდომება და, რაც მთავარია, გაბედული ჭიდაობის უნარი გამოამჟღავნა. ამ ასპარეზობაში გიგუაშვილი II ადგილზე გავიდა: იგი ფინალში დამარცხდა, რაც, პირველ ყოვლისა, მისი გამოუცდელობით აიხსნება.

* * *

სურათზე: ე. გიგუაშვილი ოსტატურ ილეთს უტარებს ფრანგ მ. რამონსს.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

ჩვენს მამულ რესპუბლიკებში

ქანონზომიერი ნარმატება

ნორილსკი, 12 თებერვალი. ის ამბავი, რომ ნიკელის ქარხნის ფრენბურთელებმა 27 სხვა კოლექტივი ჩამოიტოვეს და ნორილსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ჩემპიონები გახდნენ, შემთხვევითი სულაც არ არის. ცვლის დამთავრების შემდეგ მეტალურგთა მეგობრული კოლექტივი ხშირად იყრის თავს სპორტულ დარბაზში, სათხილამურო ტრასაზე, ან ტურისტულ ბაზაზე, რომელსაც ლამაზი სახელი ჰქვია — „ცისფერი ტბები“.

ეს ბაზა ქარხნის მუშებმა ნორილსკში ერთ-ერთმა პირველებმა აგეს. ახლა იქვე ახლოს, ლამაზი ტბების ნაპირებზე, აღიმართა მაღაროელთა, მშენებელთა, ენერგეტიკოსთა ბაზებიც.

მინი-ფეხბურთის აღიარება

ბაკო, 13 თებერვალი. აზერბაიჯანის დედაქალაქში დამთავრდა შეჯიბრება მინი-ფეხბურთში. ტურნირში სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, სასწავლო დაწესებულებების, სპორტსაზოგადოებებისა და სახლმართველობების 125 კოლექტივი მონაწილეობდა.

ყველას აჯობა სუმგაითის „ფოლადმა“, რომელიც ქვეყნის პირველობაზე „ბ“ კლასში გამოდის. მას გადაეცა საღამოს გაზეთების „ბაქისა“ და „ბაკუს“ გარდამავალი პრიზი.

როგორც სპორტის დამსახურებულ ოსტატ ა. მამედოვს მიაჩნია, მინი-ფეხბურთი ძალიან სასარგებლო და საჭირო საქმეა. აქ ფეხბურთელებს შედარებით პატარა მინდორზე უხდებათ თამაში, რის გამოც ხშირად ხვდებიან სიტუაციაში, რომელიც დიდი სტადიონის საჯარიმო მოედანზე შექმნილ მომენტებს გვაგონებს. ასეთ ვითარებაში ბრძოლის ბედს განსაკუთრებული სიზუსტე და შეთანხმება წყვეტს. მინი-ფეხბურთი მოთამაშეებს ბურთის ფლობის ტექნიკის ნიუანსების ათვისებაში ეხმარება და ერთობ მნიშვნელოვან თვისებას — სისწრაფის რეაქციას გამოუმუშავებს.

ყოველივე ამას გარდა, დახურულ შენობაში თამაში სეზონისთვის მზადების საუცხო ფორმაა.



ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

ღირსეულთა დასაფასებლად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა გადაწყვიტა ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების მწვრთნელების, მასწავლებლების, პროპაგანდისტების, საზოგადოებრივი, ორგანიზაციული, ინჟინერ-ტექნიკური და მეცნიერი მუშაკების წასახალისებლად შემოიღოს კომიტეტის საპატიო წიგნი. ამ წიგნში შევა ყველა ღირსეული, ვინც განსაკუთრებით გამოიჩინა თავს და წვლილს შეიტანს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში.

ბოლო ტურმა გადაწყვიტა

თბილისის მოჰაჯრაკე ვაჟთა ჩემპიონატი. გადადებული პარტიების დამთავრება. ლომაია — ჩეჩელიანი 0,5:0,5, მიქაელიანი — სემიონოვი 1:0, ჩახოიანი — ელბაქიძე 0:1, ლომაია — მიქაძე 0,5:0,5, ალაბეგაშვილი — ლევინი 0,5:0,5, ლევინი — ლომაია 0,5:0,5.

XIV ტური. ჩეჩელიანი — ბელქანია 1:0, სემიონოვი — მეჩითოვი 0:1, სანაძე — მიქაელიანი 1:0, ელბაქიძე — ლომაია 0:1, თხელიძე — ჩახოიანი 0:1, ჯანოევი — მიქაძე 0,5:0,5, ალაბეგაშვილი — მეგრელიშვილი 0:1, ლევინი — ციხელაშვილი 0,5:0,5.

XV ტური. ციხელაშვილი — ჩეჩელიანი 0,5:0,5, ბელქანია — სემიონოვი 0:1, მეჩითოვი — სანაძე 1:0, მიქაელიანი — ელბაქიძე 1:0, ლომაია — თხელიძე 0:1, ჩახოიანი — ჯანოევი 1:0, მიქაძე — ალაბეგაშვილი 1:0, ლევინი — მეგრელიშვილი 1:0.

უაღრესად დაძაბული ვითარება შეიქმნა ჩემპიონატის დასკვნითი, XV ტურის წინ. დედაქალაქის ჩემპიონობის ბედი წყდებოდა ჩეჩელიანისა და ლომაიას შეხვედრებში: ორივეს 11-11 ქულა ჰქონდა.

როგორც ჩანს, მღელვარებამ თავისი გაიტანა — ლომაია დამარცხდა, ხოლო ჩეჩელიანმა ყაიმს მიაღწია და ჩემპიონიც გახდა.

აი, საბოლოო შედეგებიც: ს. ჩეჩელიანი — 11,5 ქულა, თ. ლომაია — 11, ვ. ლევინი — 10,5, ზ. მიქაძე — 10, დ. ჯანოევი, ვ. მეჩითოვი — 9,5-9,5, გ. ციხელაშვილი, ე. მიქაელიანი — 8,5-8,5, ვ. სემიონოვი, ს. მეგრელიშვილი, ნ. ჩახოიანი — 7-7, ვ. თხელიძე — 5,5, ს. ელბაქიძე, ე. ბელქანია — 4-4, ვ. სანაძე — 3,5, თ. ალაბეგაშვილი — 3.

თბილისის ახალი ჩემპიონი, უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი ს. ჩეჩელიანი ნიჭიერი, მზარდი ოსტატობის კანდიდატია. მისი წარმატება სავსებით დამსახურებულია, თუმცა ჩემპიონის სახელის მოპოვება სათუო არ უნდა გამხდარიყო ბოლო ტურში. საქმე ისაა, რომ ჩეჩელიანმა პირველ 8 ტურში ყველა შეხვედრა მოიგო, დანარჩენ შვიდ პარტიაში კი მხოლოდ 3,5 ქულა მოაგროვა — ჩანს, ფიზიკური და სულიერი ძალა ბოლომდე არ ეყო.

სამაგიეროდ, ცუდი სტარტის მერე დიდი მონდომებით იბრძოდა თ. ლომაია. მან, ისევე, როგორც ჩეჩელიანმა, 9 პარტია მოიგო. როცა ლიდერს დაეწია და საჭირო იყო უშეღავათო თამაში, ლომაიამ ვერ შეძლო ძალის საბოლოოდ მობილიზება.

თითქმის იგივე დაემართა დ. ჯანოევს. ბოლო პარტია რომ მოეგო, იგი სამეულში მოხვდებოდა.

დიდი შინაგანი რწმენა და მობილიზების უნარი გამოავლინა მ. ლევინმა, თუმცა მას კარგა ხანია ტურნირებში არ უთამაშია. ფინიშის ბოლო სამ შეხვედრაში ლევინმა 2,5 ქულა მოაგროვა და III ადგილი ღირსეულად დაიკავა. ზ. მიქაძე ჩვეული მეთოდურობით თამაშობდა და წარმატებასაც მიაღწია.

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ჩეჩელიანმა, ლომაიამ, ლევინმა, მიქაძემ, ჯანოევმა (კოეფიციენტთა ცხრილით მას მეჩითოვზე უკეთესი მაჩვენებელი აქვს).

თ. ნინოშვილი.



◆ პრაღა, 14 თებერვალი. მაღალ ტატრებში დღეს გახსნილი მსოფლიო ჩემპიონატი საბჭოთა „მფრინავი მოთხილამურე“ გ. ნაპალკოვის ბრწყინვალე წარმატებით აღინიშნა: მან ოქროს მედალი მოიპოვა საშუალო ტრამპლინიდან ხტომაში. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ამ სახეობაში საბჭოთა სპორტსმენი გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა იაპონელი კასაი, ხოლო ბრინჯაოს მედლისა — ნორვეგიელი გრინი.

◆ გალაცი, 14 თებერვალი. რუმინეთის ამ ქალაქში 6 ნაკრები გუნდის მონაწილეობით დაიწყო III ჯგუფის ჰოკეისტთა მსოფლიო პირველობა. აი, პირველი შეხვედრების შედეგები: იტალია — დანია 3:1, ავსტრია — საფრანგეთი 7:2, უნგრეთი — ჰოლანდია 7:1. გამარჯვებული გუნდი გაისად მსოფლიო პირველობის II ჯგუფში ითამაშებს.

ს. ივანოვა — მეორე

სოხუმი, 14 თებერვალი. აქ დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკე ქალთა პირველობა, რომელშიც 12 მონაწილე გამოდიოდა. საქართველოს სახელით თამაშობდნენ ოსტატი ც. კობაიძე, პირველთანრიგოსნები ს. ივანოვა (ორივე — თბილისი) და ო. იასპულო (სოხუმი).

ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა ოსტატმა ა. მუსლიმოვამ (ალმა-ათა) — 9 ქულა. ივანოვას 8 ქულით II ადგილი ხვდა, კობაიძემ კი ლატვიელ ი. ვეევრესთან IV-V ადგილები გაიყო — 6,5-6,5.

რეგბის პირველი ქართველი ოსტატები

სსრ კავშირის რეგბის ფედერაციის პრეზიდიუმმა 1969 წლის შედეგების მიხედვით დაასახელა ქვეყნის 30 საუკეთესო სპორტსმენი. აი, ისინიც:

1. ა. ალიოშინი (ბიმკი, რსფსრ), 2. ბ. გავრილოვი („ფილი“, მოსკოვი), 3. ა. გრაჩოვი, 4. ა. გრიგორიანეცი, 5. დ. დავითაია (ყველა — ვვს, რსფსრ), 6. ვ. დმიტრიევი („სპარტაკი“, მოსკოვი), 7. ი. ეიდუკიავიჩუსი („გალიაჟინას ვილკასი“, ვილნიუსი), 8. ვ. ერშოვი („სპარტაკი“, მოსკოვი), 9. ვ. კაპლინი (მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი), 10. მ. კვინიხიძე, 11. ნ. ყიფიანი (ორივე — „ლოკომოტივი“, თბილისი), 12. ი. კიიანოვი („ფილი“, მოსკოვი), 13. ვ. კოშელევი („სპარტაკი“, მოსკოვი), 14. ვ. კოროლიოვი (ვვს, რსფსრ), 15. ვ. მარტინსონი (ვეფ-ი, რიგა), 16. ს. მირონოვი („სპარტაკი“, კიევი), 17. გ. მიქაბერიძე („ლოკომოტივი“, თბილისი), 18. ვ. პაშჩინსკი, 19. ი. პაშჩინსკი (ორივე — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი), 20. ვ. პეტრენკო (ვვს, რსფსრ), 21. ბ. პონომარიოვი („დინამო“, მოსკოვი), 22. ა. სემაშკო („დინამო“, კიევი), 23. ა. სიმონიანი („დინამო“, ერევანი), 24. ი. ტარიშევი (ვვს, რსფსრ), 25. ა. უშინსკასი („გალიაჟინას ვილკასი“, ვილნიუსი), 26. ა. ფროლოვი („სპარტაკი“, მოსკოვი), 27. ს. ხაჭაპურიძე („დინამო“, თბილისი), 28. ს. ჩუბარეკინი, 29. ვ. შაპოვალოვი (ორივე — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი), 30. ფ. შმაკოვი (ლენინგრადი).

ოცდაათეულში დასახელებულ ყველა სპორტსმენს მიეკუთვნა სპორტის ოსტატის წოდება.

ქულები ფორმალური და ფაქტიური

გაიმართა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის კიდევ ერთი მეოთხედფინალური მატჩი: სოფიაში „ა“ ჯგუფის აუტსაიდერმა — ადგილობრივმა „აკადემიკმა“ დაამარცხა პრაღის „სლავია“ და გათამაშების ცხრილში პირველი ქულა ჩაიწერა (ამ გუნდების პირველი მატჩი პრაღაში ჩეხოსლოვაკიელებმა მოიგეს — 87:65).

გთავაზობთ „ა“ ჯგუფის ცხრილს:

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„რესინგი“ (ბელგია)	4	3	1	300 — 290	3
„რეალი“ (ესპანეთი)	4	2	2	333 — 317	2
„სლავია“ (ჩეხოსლოვაკია)	4	2	2	307 — 311	2
„აკადემიკი“ (ბულგარეთი)	4	1	3	268 — 290	1

როგორც ხედავთ, სატურნირო ცხრილში I ადგილზეა „რესინგი“, რომელსაც 3 თამაში აქვს მოგებული და 1 ქულით უსწრებს ესპანეთის ჩემპიონს — მადრიდის „რეალს“. მაგრამ „რესინგის“ 3 ქულა მხოლოდ ფორმალურია. ამ ეტაპზე რაიმე მიზეზით რომ შემწყდარიყო ჩემპიონატი, „რეალი“ სატურნირო ცხრილში ბელგიის ჩემპიონზე უფრო მაღლა დადგებოდა და აი, რატომ: „რესინგმა“ 2 ქულა (შინ და გარეთ) აართვა სოფიის „აკადემიკს“, მაგრამ ეს 2 ქულა ფორმალურია — ტურნირის დებულების თანახმად, ორ მატჩში გამარჯვებისთვის ბელგიის გუნდს დაერიცხა 1 ქულა. მესამე ქულა „რესინგმა“ აიღო „რეალთან“ განმეორებითი მატჩის მოგებისთვის, მაგრამ ორი შეხვედრის ჯამში ბელგიელები დამარცხდნენ, ვინაიდან ესპანეთის ჩემპიონმა პირველი შეხვედრა შინ უკეთესი ანგარიშით (80:70) მოიგო. ასე რომ, „რეალთან“ აღებულ ქულას „რესინგისთვის“ ფაქტიური მნიშვნელობა არა აქვს.

რაც შეეხება ესპანელებს, მათ, მართალია ჩეხოსლოვაკიელებთანაც წააგეს ერთი მატჩი, მაგრამ ორი შეხვედრის ჯამში ისინიც დამარცხეს და საბოლოოდ აქაც ქულა აიღეს. ასე რომ, სატურნირო ცხრილის ფაქტიური სახე დღეისთვის ასეთია:

„რეალი“ (ესპანეთი)	2	2	0	333 — 317	2
„რესინგი“ (ბელგია)	2	1	1	300 — 290	1
„სლავია“ (ჩეხოსლოვაკია)	2	1	1	307 — 311	1
„აკადემიკი“ (ბულგარეთი)	2	0	2	268 — 290	0

სწორედ ამიტომაა, რომ უცხოელ ჟურნალისტებსა და მიმომხილველებს მეორე ნახევარფინალისტის საკითხი („რეალს“ ფაქტიურად განაღდებული აქვს ჯგუფში I ადგილი „აკადემიკთან“ ორივე მატჩის წაგების შემთხვევაშიც კი) ჯერ კიდევ გაურკვევლად მიაჩნიათ. უველაფერს გადაწყვეტს 19 და 26 თებერვლის მატჩები „სლავიასა“ და „რესინგს“ შორის.

ბოლო სტარტები ჩემპიონატის წინ

სკანდინავიელები — პირველი სტუმრები

სათხილამურო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადება სკანდინავიის სპორტსმენებმა ტურნირის დაწყებამდე 10 დღით ადრე დაამთავრეს, გუნდები დაკომპლექტეს და ჩეხოსლოვაკიას ესტუმრნენ. ფინეთში, მაგალითად, ნაკრების საბოლოო შემადგენლობა ქვეყნის ჩემპიონატის შემდეგ დადგინდა.

შვედებს ბიატლონისტთა შერჩევა შედარებით გაუჭირდათ და ამ საკითხის გადაწყვეტა ლიპტოვსკი-მიკულაში (ჩეხოსლოვაკია) გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებას მიანდეს. აქ ლ.-ი. არვიდსონმა, პ. ოლსონმა და ო. პეტრუსონმა გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარეს: პირველობა მოიგეს — 1:35.33 (3 წუთი ჯარიმა) და საგუნრებიც მიიღეს.

გუნდების წევრთა რაოდენობა სხვადასხვაა, თუმცა ყველა ქვეყანას სპორტსმენთა თანაბარი რაოდენობის გამოყვანის უფლება აქვს. ზოგიერთი გუნდის „გაბერვა“ თავდაზღვევის მიზნითაა ნაკარნახევი: სპორტსმენის შეცვლა ხომ სტარტის წინაც შეიძლება.

გრიმერი მედლის კანდიდატია, დემელი...

გდრ-ის მოთხილამურეები ჩეხოსლოვაკიის ტატრებში ჩასვლას არ ჩქარობდნენ — თავიანთი ქვეყნის პირველობა ბროტეროდში მხოლოდ ხუთი-ოდე დღის წინ დაამთავრეს და მსოფლიო ჩემპიონატის დედაქალაქშიც გვიან ვამგზავრნენ. ბოლო საგზურები ბროტეროდმა გასცა. აქ გ. გრიმერმა სტაიერულ დისტანციებზე შესანიშნავად ირბინა და ვარაუდობენ, რომ იგი მსოფლიო ჩემპიონატში რომელიმე მედლის ღირსეული კანდიდატი იქნება. თავისი ქვეყნის პირველობაში გრიმერმა 30 კმ 1 საათში, 37 წუთსა და 24 წამში გაირბინა და, ისევე როგორც 50 კმ-ზე, აქაც გამარჯვება დაისაკუთრა.

ქალთა ტურნირი 10 კმ-ზე მოიგო ჰ. უნგერმა.

დიდი ტრამპლინიდან სტომაში ყველას აჯობა ჰ. კვეკმა — 240 ქულა (98 და 99 მ). ორჯიდი მოიგო ლ. დიურინგმა — 403,5 ქულა.

გფრ-ის გუნდის ლიდერმა ჯ. დემელმა ქვეყნის ჩემპიონატში, რომელიც შვარცვალდში გაიმართა, 30 კმ-ზე რბენა წააგო 24 წლის ჰ. გერინგთან —1:46.20,2. დემელმა რბოლის ტემპს ვერ გაუძღო და 27-ე კილომეტრზე დისტანცია მიატოვა. ხელმძღვანელობას გუნდიდან მისი გამოყვანა არც უფიქრია, ვინაიდან სპორტსმენისა მაინც სწამთ.

ქალთა ასპარეზობა 10 კმ-ზე მოიგო მ. ენდლერმა.

მსოფლიო ჩემპიონატმა გუშინ აიღო სტარტი.

• • •

სურათებზე: მსოფლიო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი საფოსტო ნიშნები, რომლებიც ჩეხოსლოვაკიაში გამოუშვეს.



სსრ კავშირის ჩემპიონატი

გათამაშების კალენდარი

I წრე

მარტი

8. ცსკა — „შახტიორი“.
15. „ტორპედო“ ქ. — „სპარტაკი“ მ., „დინამო“ კ. — „სპარტაკი“ ო., „დინამო“ თბ. — „ტორპედო“ მ., „ნეფტჩი“ — „ზენიტი“, „პახტაკორი“ — „ჩერნომორეცი“, „არარატი“ — ასკ რ., „ზარია“ — „დინამო“ მნ.
21. „არარატი“ — „სპარტაკი“ მ., „დინამო“ თბ. — „დინამო“ კ., „დინამო“ მ. — „ჩერნომორეცი“, „ტორპედო“ მ. — „ზარია“, „ტორპედო“ ქ. — ასკ რ., „პახტაკორი“ — „შახტიორი“, „სპარტაკი“ ო. — „ზენიტი“.
27. „დინამო“ თბ. — „სპარტაკი“ მ., „შახტიორი“ — „დინამო“ მ., „ნეფტჩი“ — „დინამო“ მნ., „ჩერნომორეცი“ — „ზარია“, „ტორპედო“ ქ. — „დინამო“ კ., „პახტაკორი“ — ცსკა, „არარატი“ — „ზენიტი“, „სპარტაკი“ ო. — „ტორპედო“ მ.

აპრილი

2. „სპარტაკი“ მ., — „სპარტაკი“ ო., „დინამო“ თბ. — „დინამო“ მნ., „ზენიტი“ — ცსკა, „ნეფტჩი“ — „ტორპედო“ მ., „ჩერნომორეცი“ — ასკ რ., „შახტიორი“ — „დინამო“ კ., „ზარია“ — „ტორპედო“ ქ., „პახტაკორი“ — „დინამო“ მ.
8. „დინამო“ კ. — „ჩერნომორეცი“, „დინამო“ თბ. — „დინამო“ მ., „ნეფტჩი“ — „სპარტაკი“ მ., „ზარია“ — „სპარტაკი“ ო., ასკ რ. — ცსკა, „ტორპედო“ ქ. — „დინამო“ მნ., „პახტაკორი“ — „ზენიტი“, „არარატი“ — „ტორპედო“ მ.,
12. „დინამო“ კ. — ცსკა, „დინამო“ მნ. — „ტორპედო“ მ., „ჩერნომორეცი“ — „ზენიტი“, „შახტიორი“ — „ნეფტჩი“, „ზარია“ — „არარატი“, ასკ რ. — „დინამო“ თბ., „ტორპედო“ ქ. — „დინამო“ მ., „პახტაკორი“ — „სპარტაკი“ მ.
17. ცსკა — „ჩერნომორეცი“.
18. „სპარტაკი“ მ. — „დინამო“ კ., „შახტიორი“ — „დინამო“ თბ., ასკ რ. — „ნეფტჩი“, „პახტაკორი“ — „ტორპედო“ მ., „არარატი“ — „დინამო“ მნ., „სპარტაკი“ ო. — „ტორპედო“ ქ.,
19. „დინამო“ მ. — „ზარია“.
23. ცსკა — „ზარია“.
24. „ტორპედო“ მ. — „შახტიორი“.
25. „დინამო“ მ. — „სპარტაკი“ ო., „ჩერნომორეცი“ — „არარატი“, „ზენიტი“ — „დინამო“ თბ., „დინამო“ მნ. — „პახტაკორი“, „ტორპედო“ ქ. — „ნეფტჩი“.
26. „სპარტაკი“ მ. — ასკ რ.

მაისი

2. „დინამო“ კ. — „პახტაკორი“, „დინამო“ თბ. — „ტორპედო“ ქ., „ტორპედო“ მ. — „დინამო“ მ., „ნეფტჩი“ — „ჩერნომორეცი“, „ზენიტი“ — „ზარია“, „შახტიორი“ — „არარატი“, „დინამო“ მნ. — ასკ რ.
3. ცსკა — „სპარტაკი“ ო.
9-13. სსრ კავშირის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალი.
20. „დინამო“ თბ. — „პახტაკორი“, „ჩერნომორეცი“ — „შახტიორი“, „ზენიტი“ — „სპარტაკი“ მ., „ზარია“ — „დინამო“ კ., „სპარტაკი“ ო. — „ნეფტჩი“, ცსკა — „არარატი“.
22. „დინამო“ მ. — „დინამო“ მნ.
23. „ტორპედო“ მ. — ასკ რ.
24. „ნეფტჩი“ — ცსკა.
28 მაისი-1 ივნისი. სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალი.

ივნისი

7. ცსკა — „ტორპედო“ ქ.
8. „სპარტაკი“ მ. — „დინამო“ მნ., „დინამო“ კ. — ასკ რ., „შახტიორი“ — „ზარია“, „ზენიტი“ — „დინამო“ მ., „პახტაკორი“ — „ნეფტჩი“, „არარატი“ — „სპარტაკი“ ო.,
9. „ტორპედო“ მ. — „ჩერნომორეცი“.
13. ცსკა — „დინამო“ მნ.
14. „დინამო“ მ. — „არარატი“.
15. „სპარტაკი“ მ. — „ჩერნომორეცი“, „ზენიტი“ — „დინამო“ კ., „შახტიორი“ — ასკ რ., „ზარია“ — „ნეფტჩი“, „სპარტაკი“ ო. — „დინამო“ თბ., „ტორპედო“ ქ. — „ტორპედო“ მ.
20. „დინამო“ მ. — „ნეფტჩი“.
22. „სპარტაკი“ მ. — „შახტიორი“, „ჩერნომორეცი“ — „ტორპედო“ ქ., „ზენიტი“ — „ტორპედო“ მ., „ზარია“ — „დინამო“ თბ., „დინამო“ მნ. — „დინამო“ კ., „არარატი“ — „პახტაკორი“, „სპარტაკი“ ო. — ასკ რ.
27. სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალი.

ივლისი

1. ცსკა — „სპარტაკი“ მ.
2. „დინამო“ მ. — „დინამო“ კ., „ნეფტჩი“ — „დინამო“ თბ., „ზენიტი“ — „შახტიორი“, ასკ რ. — „ზარია“, „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ მნ., „ტორპედო“ ქ. — „არარატი“, „სპარტაკი“ ო. — „პახტაკორი“.
6. „დინამო“ თბ. — ცსკა, „ტორპედო“ მ. — „დინამო“ კ., „ნეფტჩი“ — „არარატი“, „შახტიორი“ — „სპარტაკი“ ო., „ზარია“ — „სპარტაკი“ მ., ასკ რ. — „დინამო“ მ., „დინამო“ მნ. — „ზენიტი“, „პახტაკორი“ — „ტორპედო“ ქ.
12. „ტორპედო“ მ. — ცსკა.
13. „სპარტაკი“ მ. — „დინამო“ მ., „დინამო“ კ. — „არარატი“, „დინამო“ თბ. — „ჩერნომორეცი“, „ზენიტი“ — ასკ რ., „შახტიორი“ — „ტორპედო“ ქ., „ზარია“ — „პახტაკორი“, „დინამო“ მნ. — „სპარტაკი“ ო.
19. „დინამო“ მ. — ცსკა.
20. „სპარტაკი“ მ. — „ტორპედო“ მ., „დინამო“ კ. — „ნეფტჩი“, „ზენიტი“ — „ტორპედო“ ქ., ასკ რ. — „პახტაკორი“, „დინამო“ მნ. — „შახტიორი“, „არარატი“ — „დინამო“ თბ., „სპარტაკი“ ო. — „ჩერნომორეცი“.
25. სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალი.

II წრე

ივლისი

29. ასკ რ. — „დინამო“ კ., „დინამო“ მ. — „ზენიტი“, „ნეფტჩი“ — „პახტაკორი“, „ჩერნომორეცი“ — „ტორპედო“ მ., „ზარია“ — „შახტიორი“, „დინამო“ მნ. — „სპარტაკი“ მ., „ტორპედო“ ქ. — ცსკა, „სპარტაკი“ ო. — „არარატი“.

აგვისტო

3. „სპარტაკი“ მ. — ცსკა, „დინამო“ კ. — „დინამო“ მ., „დინამო“ თბ., — „ნეფტჩი“, „დინამო“ მნ. — „ჩერნომორეცი“, „შახტიორი“ — „ზენიტი“, „ზარია“ — ასკ რ., „პახტაკორი“ — „სპარტაკი“ ო., „არარატი“ — „ტორპედო“ ქ.
8. სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალი.
13. „ტორპედო“ მ. — „პახტაკორი“, „ზარია“ — „დინამო“ მ., „დინამო“ თბ. — „შახტიორი“, „დინამო“ კ. — „სპარტაკი“ მ., „ნეფტჩი“ — ასკ რ., „დინამო“ მნ., — „არარატი“, „ტორპედო“ ქ. — „სპარტაკი“ ო., „ჩერნომორეცი“ — ცსკა.
17. „სპარტაკი“ მ. — „ზენიტი“, „დინამო“ კ. — „ზარია“, „ნეფტჩი“ — „სპარტაკი“ ო., „დინამო“ მნ. — „დინამო“ მ., „შახტიორი“ — „ჩერნომორეცი“ ასკ რ., „ტორპედო“ მ., „პახტაკორი“ — „დინამო“ თბ., „არარატი“ — ცსკა.
23. „დინამო“ მ. — „სპარტაკი“ მ.
25. ცსკა — „ტორპედო“ მ., „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ თბ., ასკ რ. — „ზენიტი“, „ტორპედო“ ქ. — „შახტიორი“, „ზარია“ — „ჩერნომორეცი“, „ზენიტი“ — „ტორპედო“ ქ., ასკ რ. — „პახტაკორი“, „დინამო“ მნ. — „შახტიორი“, „არარატი“ — „დინამო“ თბ., „სპარტაკი“ ო. — „ჩერნომორეცი“.
30. „შახტიორი“ — „დინამო“ მნ., „დინამო“ თბ. — „არარატი“, ცსკა — „დინამო“ მ., „ნეფტჩი“ — „დინამო“ კ., „ჩერნომორეცი“ — „სპარტაკი“ ო., „ტორპედო“ ქ. — „ზენიტი“, „პახტაკორი“ — ასკ რ.
31. „ტორპედო“ მ. — „სპარტაკი“ მ.

სექტემბერი

4. ცსკა — „ნეფტჩი“, „ზენიტი“ — „სპარტაკი“ ო.
5. „სპარტაკი“ მ. — „არარატი“,
6. „დინამო“ კ. — „დინამო“ თბ., „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ მ., „შახტიორი“ — „პახტაკორი“, „ზარია“ — „ტორპედო“ ქ.
9. ცსკა — „ზენიტი“.
10. „დინამო“ კ. — „შახტიორი“, „დინამო“ მ. — „პახტაკორი“, ასკ რ. — „ჩერნომორეცი“, „დინამო“ მნ. — „დინამო“ თბ., „ტორპედო“ ქ. — „ზარია“, „სპარტაკი“ ო. — „სპარტაკი“ მ.
11. „ტორპედო“ მ. — „ნეფტჩი“.
17. „ტორპედო“ მ. — „არარატი“.
18. „დინამო“ მ. — „დინამო“ თბ., „დინამო“ მნ. — „ტორპედო“ ქ.
19. „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ კ.
20. ცსკა — ასკ რ., „ზენიტი“ — „პახტაკორი“, „სპარტაკი“ ო. — „ზარია“.
21. „სპარტაკი“ მ. — „ნეფტჩი“.
22. „დინამო“ მ. — „ტორპედო“ ქ.
24. „დინამო“ თბ. — ასკ რ., ცსკა — „დინამო“ კ., „ზენიტი“ — „ჩერნომორეცი“, „არარატი“ — „ზარია“.
25. „სპარტაკი“ მ. — „პახტაკორი“, „ნეფტჩი“ — „შახტიორი“.
26. „ტორპედო“ მ. — „დინამო“ მნ.

ოქტომბერი

1. „დინამო“ მ. — „ტორპედო“ მ., „ჩერნომორეცი“ — „ნეფტჩი“, „ზარია“ — „ზენიტი“, ასკ რ. — „დინამო“ მნ., „ტორპედო“ ქ. — „დინამო“ თბ., „პახტაკორი“ — „დინამო“ კ., „არარატი“ — „შახტიორი“, „სპარტაკი“ ო. — ცსკა.
5. ცსკა — „პახტაკორი“, „ზენიტი“ — „არარატი“, „ზარია“ — „ჩერნომორეცი“, „დინამო“ მნ. — „ნეფტჩი“.
6. „სპარტაკი“ მ. — „დინამო“ თბ., „დინამო“ კ. — „ტორპედო“ ქ.
7. „დინამო“ მ. — „შახტიორი“.
8. „ტორპედო“ მ. — „სპარტაკი“ ო.
9. „ზენიტი“ — „ნეფტჩი“, „დინამო“ მნ. — „ზარია“, ასკ რ. — „არარატი“.
11. „სპარტაკი“ მ. — „ტორპედო“ ქ., „ჩერნომორეცი“ — „პახტაკორი“.
12. „ტორპედო“ მ. — „დინამო“ თბ., „სპარტაკი“ ო. — „დინამო“ კ., „შახტიორი“ — ცსკა.
19. „დინამო“ თბ. — „სპარტაკი“ ო., „ტორპედო“ მ. — „ტორპედო“ ქ., „ნეფტჩი“ — „ზარია“, „ჩერნომორეცი“ — „სპარტაკი“ მ., „დინამო“ კ. — „ზენიტი“, „შახტიორი“ — „ასკ რ.
20. „ტორპედო“ მ. — „ცსკა.
23. „ტორპედო“ მ. — „ასკ რ.
24. „ნეფტჩი“ — ცსკა.
28 მაისი-1 ივნისი. სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალი.

ივნისი

7. ცსკა — „ტორპედო“ ქ.
8. „სპარტაკი“ მ. — „დინამო“ მნ., „დინამო“ კ. — ასკ რ., „შახტიორი“ — „ზარია“, „ზენიტი“ — „დინამო“ მ., „პახტაკორი“ — „ნეფტჩი“, „არარატი“ — „სპარტაკი“ ო.,
9. „ტორპედო“ მ. — „ჩერნომორეცი“.
13. ცსკა — „დინამო“ მნ.
14. „დინამო“ მ. — „არარატი“.
15. „სპარტაკი“ მ. — „ჩერნომორეცი“, „ზენიტი“ — „დინამო“ კ., „შახტიორი“ — ასკ რ., „ზარია“ — „ნეფტჩი“, „სპარტაკი“ ო. — „დინამო“ თბ., „ტორპედო“ ქ. — „ტორპედო“ მ.
20. „დინამო“ მ. — „ნეფტჩი“.
22. „სპარტაკი“ მ. — „შახტიორი“, „ჩერნომორეცი“ — „ტორპედო“ ქ., „ზენიტი“ — „ტორპედო“ მ., „ზარია“ — „დინამო“ თბ., „დინამო“ მნ. — „დინამო“ კ., „არარატი“ — „პახტაკორი“, „სპარტაკი“ ო. — ასკ რ.
27. სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალი.

ივლისი

1. ცსკა — „სპარტაკი“ მ.
2. „დინამო“ მ. — „დინამო“ კ., „ნეფტჩი“ — „დინამო“ თბ., „ზენიტი“ — „შახტიორი“, ასკ რ. — „ზარია“, „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ მნ., „ტორპედო“ ქ. — „არარატი“, „სპარტაკი“ ო. — „პახტაკორი“.
6. „დინამო“ თბ. — ცსკა, „ტორპედო“ მ. — „დინამო“ კ., „ნეფტჩი“ — „არარატი“, „შახტიორი“ — „სპარტაკი“ ო., „ზარია“ — „სპარტაკი“ მ., ასკ რ. — „დინამო“ მ., „დინამო“ მნ. — „ზენიტი“, „პახტაკორი“ — „ტორპედო“ ქ.
12. „ტორპედო“ მ. — ცსკა.
13. „სპარტაკი“ მ. — „დინამო“ მ., „დინამო“ კ. — „არარატი“, „დინამო“ თბ. — „ჩერნომორეცი“, „ზენიტი“ — ასკ რ., „შახტიორი“ — „ტორპედო“ ქ., „ზარია“ — „პახტაკორი“, „დინამო“ მნ. — „სპარტაკი“ ო.
19. „დინამო“ მ. — ცსკა.
20. „სპარტაკი“ მ. — „ტორპედო“ მ., „დინამო“ კ. — „ნეფტჩი“, „ზენიტი“ — „ტორპედო“ ქ., ასკ რ. — „პახტაკორი“, „დინამო“ მნ. — „შახტიორი“, „არარატი“ — „დინამო“ თბ., „სპარტაკი“ ო. — „ჩერნომორეცი“.
25. სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალი.

II წრე

ივლისი

29. ასკ რ. — „დინამო“ კ., „დინამო“ მ. — „ზენიტი“, „ნეფტჩი“ — „პახტაკორი“, „ჩერნომორეცი“ — „ტორპედო“ მ., „ზარია“ — „შახტიორი“, „დინამო“ მნ. — „სპარტაკი“ მ., „ტორპედო“ ქ. — ცსკა, „სპარტაკი“ ო. — „არარატი“.

აგვისტო

3. „სპარტაკი“ მ. — ცსკა, „დინამო“ კ. — „დინამო“ მ., „დინამო“ თბ., — „ნეფტჩი“, „დინამო“ მნ. — „ჩერნომორეცი“, „შახტიორი“ — „ზენიტი“, „ზარია“ — ასკ რ., „პახტაკორი“ — „სპარტაკი“ ო., „არარატი“ — „ტორპედო“ ქ.
8. სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალი.
13. „ტორპედო“ მ. — „პახტაკორი“, „ზარია“ — „დინამო“ მ., „დინამო“ თბ. — „შახტიორი“, „დინამო“ კ. — „სპარტაკი“ მ., „ნეფტჩი“ — ასკ რ., „დინამო“ მნ., — „არარატი“, „ტორპედო“ ქ. — „სპარტაკი“ ო., „ჩერნომორეცი“ — ცსკა.
17. „სპარტაკი“ მ. — „ზენიტი“, „დინამო“ კ. — „ზარია“, „ნეფტჩი“ — „სპარტაკი“ ო., „დინამო“ მნ. — „დინამო“ მ., „შახტიორი“ — „ჩერნომორეცი“ ასკ რ., „ტორპედო“ მ., „პახტაკორი“ — „დინამო“ თბ., „არარატი“ — ცსკა.
23. „დინამო“ მ. — „სპარტაკი“ მ.
25. ცსკა — „ტორპედო“ მ., „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ თბ., ასკ რ. — „ზენიტი“, „ტორპედო“ ქ. — „შახტიორი“, „პახტაკორი“ — „ზარია“, „არარატი“ — „დინამო“ კ., „სპარტაკი“ ო. — „დინამო“ მნ.
30. „შახტიორი“ — „დინამო“ მნ., „დინამო“ თბ. — „არარატი“, ცსკა — „დინამო“ მ., „ნეფტჩი“ — „დინამო“ კ., „ჩერნომორეცი“ — „სპარტაკი“ ო., „ტორპედო“ ქ. — „ზენიტი“, „პახტაკორი“ — ასკ რ.
31. „ტორპედო“ მ. — „სპარტაკი“ მ.

სექტემბერი

4. ცსკა — „ნეფტჩი“, „ზენიტი“ — „სპარტაკი“ ო.
5. „სპარტაკი“ მ. — „არარატი“,
6. „დინამო“ კ. — „დინამო“ თბ., „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ მ., „შახტიორი“ — „პახტაკორი“, „ზარია“ — „ტორპედო“ ქ.
9. ცსკა — „ზენიტი“.
10. „დინამო“ კ. — „შახტიორი“, „დინამო“ მ. — „პახტაკორი“, ასკ რ. — „ჩერნომორეცი“, „დინამო“ მნ. — „დინამო“ თბ., „ტორპედო“ ქ. — „ზარია“, „სპარტაკი“ ო. — „სპარტაკი“ მ.
11. „ტორპედო“ მ. — „ნეფტჩი“.
17. „ტორპედო“ მ. — „არარატი“.
18. „დინამო“ მ. — „დინამო“ თბ., „დინამო“ მნ. — „ტორპედო“ ქ.
19. „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ კ.
20. ცსკა — ასკ რ., „ზენიტი“ — „პახტაკორი“, „სპარტაკი“ ო. — „ზარია“.
21. „სპარტაკი“ მ. — „ნეფტჩი“.
22. „დინამო“ მ. — „ტორპედო“ ქ.
24. „დინამო“ თბ. — ასკ რ., ცსკა — „დინამო“ კ., „ზენიტი“ — „ჩერნომორეცი“, „არარატი“ — „ზარია“.
25. „სპარტაკი“ მ. — „პახტაკორი“, „ნეფტჩი“ — „შახტიორი“.
26. „ტორპედო“ მ. — „დინამო“ მნ.

ოქტომბერი

1. „დინამო“ მ. — „ტორპედო“ მ., „ჩერნომორეცი“ — „ნეფტჩი“, „ზარია“ — „ზენიტი“, ასკ რ. — „დინამო“ მნ., „ტორპედო“ ქ. — „დინამო“ თბ., „პახტაკორი“ — „დინამო“ კ., „არარატი“ — „შახტიორი“, „სპარტაკი“ ო. — ცსკა.
5. ცსკა — „პახტაკორი“, „ზენიტი“ — „არარატი“, „ზარია“ — „ჩერნომორეცი“, „დინამო“ მნ. — „ნეფტჩი“.
6. „სპარტაკი“ მ. — „დინამო“ თბ., „დინამო“ კ. — „ტორპედო“ ქ.
7. „დინამო“ მ. — „შახტიორი“.
8. „ტორპედო“ მ. — „სპარტაკი“ ო.
9. „ზენიტი“ — „ნეფტჩი“, „დინამო“ მნ. — „ზარია“, ასკ რ. — „არარატი“.
11. „სპარტაკი“ მ. — „ტორპედო“ ქ.. „ჩერნომორეცი“ — „პახტაკორი“.
12. „ტორპედო“ მ. — „დინამო“ თბ., „სპარტაკი“ ო. — „დინამო“ კ., „შახტიორი“ — ცსკა.
19. „დინამო“ თბ. — „სპარტაკი“ ო., „ტორპედო“ მ. — „ტორპედო“ ქ., „ნეფტჩი“ — „ზარია“, „ჩერნომორეცი“ — „სპარტაკი“ მ., „დინამო“ კ. — „ზენიტი“, „შახტიორი“ — „ასკ რ., „ზარია“ — „ტორპედო“ ქ.
20. „ტორპედო“ მ. — „ცსკა.
23. „ტორპედო“ მ. — „ასკ რ.
24. „ნეფტჩი“ — ცსკა.
28 მაისი-1 ივნისი. სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალი.

ივნისი

7. ცსკა — „ტორპედო“ ქ.
8. „სპარტაკი“ მ. — „დინამო“ მნ., „დინამო“ კ. — ასკ რ., „შახტიორი“ — „ზარია“, „ზენიტი“ — „დინამო“ მ., „პახტაკორი“ — „ნეფტჩი“, „არარატი“ — „სპარტაკი“ ო.,
9. „ტორპედო“ მ. — „ჩერნომორეცი“.
13. ცსკა — „დინამო“ მნ.
14. „დინამო“ მ. — „არარატი“.
15. „სპარტაკი“ მ. — „ჩერნომორეცი“, „ზენიტი“ — „დინამო“ კ., „შახტიორი“ — ასკ რ., „ზარია“ — „ნეფტჩი“, „სპარტაკი“ ო. — „დინამო“ თბ., „ტორპედო“ ქ. — „ტორპედო“ მ.
20. „დინამო“ მ. — „ნეფტჩი“.
22. „სპარტაკი“ მ. — „შახტიორი“, „ჩერნომორეცი“ — „ტორპედო“ ქ., „ზენიტი“ — „ტორპედო“ მ., „ზარია“ — „დინამო“ თბ., „დინამო“ მნ. — „დინამო“ კ., „არარატი“ — „პახტაკორი“, „სპარტაკი“ ო. — „ასკ რ.
27. სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალი.

ივლისი

1. ცსკა — „სპარტაკი“ მ.
2. „დინამო“ მ. — „დინამო“ კ., „ნეფტჩი“ — „დინამო“ თბ., „ზენიტი“ — „შახტიორი“, ასკ რ. — „ზარია“, „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ მნ., „ტორპედო“ ქ. — „არარატი“, „სპარტაკი“ ო. — „პახტაკორი“.
6. „დინამო“ თბ. — ცსკა, „ტორპედო“ მ. — „დინამო“ კ., „ნეფტჩი“ — „არარატი“, „შახტიორი“ — „სპარტაკი“ ო., „ზარია“ — „სპარტაკი“ მ., ასკ რ. — „დინამო“ მ., „დინამო“ მნ. — „ზენიტი“, „პახტაკორი“ — „ტორპედო“ ქ.
12. „ტორპედო“ მ. — ცსკა.
13. „სპარტაკი“ მ. — „დინამო“ მ., „დინამო“ კ. — „არარატი“, „დინამო“ თბ. — „ჩერნომორეცი“, „ზენიტი“ — ასკ რ., „შახტიორი“ — „ტორპედო“ ქ., „ზარია“ — „პახტაკორი“, „დინამო“ მნ. — „სპარტაკი“ ო.
19. „დინამო“ მ. — ცსკა.
20. „სპარტაკი“ მ. — „ტორპედო“ მ., „დინამო“ კ. — „ნეფტჩი“, „ზენიტი“ — „ტორპედო“ ქ., ასკ რ. — „პახტაკორი“, „დინამო“ მნ. — „შახტიორი“, „არარატი“ — „დინამო“ თბ., „სპარტაკი“ ო. — „ჩერნომორეცი“.
25. სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალი.

II წრე

ივლისი

29. ასკ რ. — „დინამო“ კ., „დინამო“ მ. — „ზენიტი“, „ნეფტჩი“ — „პახტაკორი“, „ჩერნომორეცი“ — „ტორპედო“ მ., „ზარია“ — „შახტიორი“, „დინამო“ მნ. — „სპარტაკი“ მ., „ტორპედო“ ქ. — ცსკა, „სპარტაკი“ ო. — „არარატი“.

აგვისტო

3. „სპარტაკი“ მ. — ცსკა, „დინამო“ კ. — „დინამო“ მ., „დინამო“ თბ., — „ნეფტჩი“, „დინამო“ მნ. — „ჩერნომორეცი“, „შახტიორი“ — „ზენიტი“, „ზარია“ — ასკ რ., „პახტაკორი“ — „სპარტაკი“ ო., „არარატი“ — „ტორპედო“ ქ.
8. სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალი.
13. „ტორპედო“ მ. — „პახტაკორი“, „ზარია“ — „დინამო“ მ., „დინამო“ თბ. — „შახტიორი“, „დინამო“ კ. — „სპარტაკი“ მ., „ნეფტჩი“ — ასკ რ., „დინამო“ მნ., — „არარატი“, „ტორპედო“ ქ. — „სპარტაკი“ ო., „ჩერნომორეცი“ — ცსკა.
17. „სპარტაკი“ მ. — „ზენიტი“, „დინამო“ კ. — „ზარია“, „ნეფტჩი“ — „სპარტაკი“ ო., „დინამო“ მნ. — „დინამო“ მ., „შახტიორი“ — „ჩერნომორეცი“ ასკ რ., „ტორპედო“ მ., „პახტაკორი“ — „დინამო“ თბ., „არარატი“ — ცსკა.
23. „დინამო“ მ. — „სპარტაკი“ მ.
25. ცსკა — „ტორპედო“ მ., „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ თბ., ასკ რ. — „ზენიტი“, „ტორპედო“ ქ. — „შახტიორი“, „პახტაკორი“ — „ზარია“, „არარატი“ — „დინამო“ კ., „სპარტაკი“ ო. — „დინამო“ მნ.
30. „შახტიორი“ — „დინამო“ მნ., „დინამო“ თბ. — „არარატი“, ცსკა — „დინამო“ მ., „ნეფტჩი“ — „დინამო“ კ., „ჩერნომორეცი“ — „სპარტაკი“ ო., „ტორპედო“ ქ. — „ზენიტი“, „პახტაკორი“ — ასკ რ.
31. „ტორპედო“ მ. — „სპარტაკი“ მ.

სექტემბერი

4. ცსკა — „ნეფტჩი“, „ზენიტი“ — „სპარტაკი“ ო.
5. „სპარტაკი“ მ. — „არარატი“,
6. „დინამო“ კ. — „დინამო“ თბ., „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ მ., „შახტიორი“ — „პახტაკორი“, „ზარია“ — „ტორპედო“ ქ.
9. ცსკა — „ზენიტი“.
10. „დინამო“ კ. — „შახტიორი“, „დინამო“ მ. — „პახტაკორი“, ასკ რ. — „ჩერნომორეცი“, „დინამო“ მნ. — „დინამო“ თბ., „ტორპედო“ ქ. — „ზარია“, „სპარტაკი“ ო. — „სპარტაკი“ მ.
11. „ტორპედო“ მ. — „ნეფტჩი“.
17. „ტორპედო“ მ. — „არარატი“.
18. „დინამო“ მ. — „დინამო“ თბ., „დინამო“ მნ. — „ტორპედო“ ქ.
19. „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ კ.
20. ცსკა — ასკ რ., „ზენიტი“ — „პახტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

20 წლის შემდეგ

ამ სათაურის წაკითხვის შემდეგ მკითხველმა შეიძლება გაიფიქროს: „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“. მაგრამ ეს მოსაზრება ამჯერად სამართლიანი არ იქნება. და აი, რატომ. მართალია, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კალათბურთელთა გუნდმა სსრ კავშირის სამედიცინო ინსტიტუტების სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება ამ ოციოდე წლის წინათ მოიპოვა, მაგრამ მას შემდეგ ასეთი შეჯიბრება აღარც გამართულა. წლეულს ეს კარგი ტრადიცია კვლავ აღდგა. ასე რომ, ჩვენი რესპუბლიკის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებს თავიანთ წინამორბედთა წარმატების განმეორება მოუხდათ... ოცის წლის შემდეგ.

ამ ხნის მანძილზე ბევრმა წყალმა ჩაიარა. სტუდენტთა გუნდს ჰქონდა აღმავლობისა და რეგრესის პერიოდები. მაგრამ ის ჩინებული ტრადიცია, რომელსაც კარგა ხნის წინათ ჩაეყარა საფუძველი, არ მოშლილა. საკმარისია ითქვას, რომ მომავალი ექიმების კოლექტივში მიიღეს სპორტული ნათლობა ა. კილაძემ, ვ. გვანცელაძემ, თ. მეძმარიაშვილმა, ა. გუგუციძემ, გ. დოლიძემ, ლ. ქებაძემ, რ. სვანიშვილმა და სხვებმა. მერე და მერე სტუდენტთა წარმატებებმა იკლო. ეს სხვადასხვა მიზეზით იყო გამოწვეული. „იძულებითი შესვენება“ კარგა ხანს გაგრძელდა. რა თქმა უნდა, გუნდი არ დაშლილა, კვლავაც გამოდიოდა სხვადასხვა შეჯიბრებაში, მაგრამ მის თამაშს აკლდა ძველებური შემართება და ოსტატობა. საჭირო იყო კარგი ტრადიციების აღდგენა, რაც წარსულში ამ გუნდის წევრმა, ამჟამად მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ჯ. ნატრიაშვილმა ითავა.

ეს იყო ამ სამოიოდე წლის წინათ. მედიკოთა გუნდი შესამჩნევად გადახალისდა. კოლექტივს შეემატნენ ნიჭიერი კალათბურთელები. მეტი ყურადღება დაეთმო მათს სრულფასოვან წვრთნას. ყოველივე ამან კარგი შედეგი გამოიღო. მომავალ ექიმთა გუნდი კვლავინდებურად ბრძოლისუნარიანი და მონოლითური გახდა. წარმატებებმაც არ დააყოვნა: ისინი ჯერ თბილისის ჩემპიონები გახდნენ, ხოლო შემდეგ რესპუბლიკურ შეჯიბრებებშიც ისახელეს თავი. მერე დადგა დიდი მასშტაბის ასპარეზობათა დროც. ამ ტურნირებში ღირსეულად გამოსულისთვის სტუდენტებს უფრო ინტენსიური წვრთნა და მზადება მართებდათ. მათ ეს ამოცანაც წარმატებით გადაჭრეს თავიანთი მწვრთნელის დახმარებით. გარდა ამისა, სტუდენტთა გუნდი უფრო „მაღალი“ ჯახდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: გუნდში ჩაირიცხნენ ტანმაღალი მოთამაშეები ა. სალაყაია, ვ. ჯგერენაია და სხვ.

და აი, ამას წინათ თბილისელები კვლავ ჩაებნენ სამედიცინო ინსტიტუტების საკავშირო სპარტაკიადაში, რომელიც ასეთი იუბილიანი გამოდგა 20 წლის წინათ მათს წინამორბედებისთვის. ასე რომ, ფაქტიურად, ჩემპიონი იცავდა თავის მაღალ ტიტულს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ ამოცანის გადაჭრა ამჯერად არც თუ ისე იოლი გახლდათ. ვიდრე ფინალისკენ გზას გაიკვლევდნენ, ჩვენმა კალათბურთელებმა გაიმარჯვეს ამერკავკასიის რესპუბლიკათა ზონალურ პირველობაში. ფინალში კი, რომელიც ვოლგოგრადში გაიმართა, უაღრესად ძლიერი კონკურენცია ელოდათ.

ფინალის მონაწილე გუნდები ორ ჯგუფად დაიყვნენ: თბილისელებს I ჯგუფში უნდა ეთამაშათ. ქართველმა სტუდენტებმა ჩინებულად წარმართეს შეხვედრები, ერთიმეორეზე დაამარცხეს ტაშკენტის (81:63), ფრუნზეს (90:60), ყარაგანდის (86:57), დონის როსტოვისა (59:49) და ვინიცის (59:52) გუნდები.

როგორც ხედავთ, ვინიცელი კოლეგების გარდა, თბილისელებმა შედარებით იოლად სძლიეს სხვა მეტოქეებს. რაც შეეხება ვინიცელებთან გამართულ შეხვედრას, იგი მძაფრი და შეუპოვარი გამოდგა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ვინიცის მედიკთა გუნდი უცვლელი წარმატებით მონაწილეობს უკრაინის ჩემპიონატში და გადამწყვეტ მატჩში თითქმის მთლიანად სპორტის ოსტატებითაა დაკომპლექტებული. თბილისელებმა სასურველ შედეგს მხოლოდ მატჩის ბოლო წუთებში მიაღწიეს.

ამრიგად, მათ დამჯერებლად გაიმარჯვეს თავიანთ ჯგუფში, მაგრამ მთავარი გამოცდა ელოდათ. ქართველ სპორტსმენებს ჩემპიონის წოდებისთვის ბრძოლის გზაზე გადაეღობა დონეცკელთა ძლიერი კოლექტივი. ამ თამაშმა დიდალი მაყურებელი მიიზიდა. თბილისელები შეხვედრის დასაწყისშივე დაწინაურდნენ და ბოლომდე ხელიდან არ გაუშვიათ ინიციატივა. მატჩის საბოლოო შედეგია 66:54. ამ გამარჯვებამ ქართველ კალათბურთელებს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გარდამავალი თასი მოუტანა.

ჩვენი გუნდის წარმატება კანონზომიერი იყო. თბილისელები კარგად მოემზადნენ ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის. საბოლოო გამარჯვებაში გუნდის თითოეულმა წევრმა თავისი წვლილი გაიღო. განსაკუთრებული მონდომებით იბრძოდნენ თ. ასათიანი, ა. მღიბრაძე, გ. ნატრიაშვილი, ვ. ჯგერენაია, ნ. შავდია...

ა. გოგელია.

* * *

სურათზე: თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კალათბურთელთა კოლექტივი. მარცხნივ — გუნდის მწვრთნელი ჯ. ნატრიაშვილი.

ფოტო ვ. ზარგარიანისა.

ვუპასუხებთ ოვალებით

კლდეზე მცოცავი თუ?..

„მეკდეური“

ამას წინათ გამოვიდა პროფ. ჰ. ხუბუტიას შრომა „თუშური კილო“.

ამ წიგნის ლექსიკონში არის ერთი სიტყვა „მეკდეურადი“ — კლდეებში კარგად მოსიარულე ადამიანი.

თუშები კლდეს ხშირად „კილდეს“ ან „კდეს“ უწოდებენ.

იქნებ „კლდეზე მცოცავის“ ნაცვლად გამოდგეს:

„მეკდეური“ — კლდეებში და კლდეზე კარგად მოსიარულე (ნუ შეგვაშინებს განმარტებაში „საქონელი“). თუშეთში ოთხჯერ ვიყავ და ჩვენ შესახებაც ამბობდნენ: „მებალახენი“, „მეკდეურებიო“.

აკადემიკოსი ნ. კეცხოველი.

● ●

„ლახვა“ არ ივარგებს

„ლელოს“ 1969 წლის სექტემბრის ერთ-ერთ ნომერში მიზანშეწონილად მივიჩნევდით „კლდეზე ცოცვის“ ნაცვლად გვეხმარა „კლდეძლევა“ (ან „კლდემძლეობა“, „კლდეთამძლეობა“), „კლდეზე მცოცავის“ ნაცვლად კი — „კლდემძლე“ (ან „კლდეთამძლე“) და ა. შ.

სამწუხაროდ, დაბეჭდვის დროს წერილიდან ამოვარდა რამდენიმე არსებითი სტრიქონი, სადაც მივუთითებდით, რომ ჩვენ ამოვდიოდით „მძლეთამძლედან“, „მძლეთამძლეობიდან“, ან, მოკლედ, „მძლედან“. სავსებით ბუნებრივია „მძლეთამძლეს“ გვერდით ვიხმაროთ „კლდეთამძლე“, „კლდემძლეობა“ და ა. შ.

20 ნოემბრის „ლელოს“ მასალების მიხედვით, სპორტის ოსტატ პ. გვარლიანს (და მასთან ერთად მხატვარ გ. ოჩიაურს) მიაჩნიათ, რომ აჯობებს „კლდემლახველი“, „კლდელახვა“, რასაც ვერ დავეთანხმებით.

პ. გვარლიანს ალბათ მხედველობიდან გამორჩა, რომ მის მიერ შემოთავაზებულ ცნებებს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ჩვენ აქ ვგულისხმობთ „ლახვას“, მისგან გამომდინარე კი „შელახვას“, რაც ნიშნავს გათელვასაც, შერყვნასაც და ა. შ. ამის გამო ამ ცნებების სპორტში შემოტანა არც ეთიკურად მიგვაჩნია მიზანშეწონილად და არც ესთეტიკურად.

ამასთან, იმავე მასალების მიხედვით გვაქვს „მდინარის გადალახვა“, „უღელტეხილის გადალახვა“, „სიმაღლის გადალახვა“, რაც მართლაც ნიშნავს რაიმეს გადალახვას, გადავლას. აქეთ მიუთითებს სტრიქონები „ვეფხვისა და მოუმის ლექსიდანაც“: „მოვინადირენ, დავლახენ ბილიკნი ჭიუხისანი“. აღარაფერს ვამბობთ „დაბრკოლებათა“ და „სიძნელეთა“ გადალახვის ორგვარ მნიშვნელობაზე.

„კლდემლახველი“ და „კლდელახვა“ ნაკლებ კეთილხმოვანი და ნაკლებეკონომიურიცაა — გრძელია და მძიმეა („კლდემლახველებმა“ და ა. შ.), მაშასადამე — უხერხული, შეზღუდული და ღარიბი სიტყვათწარმოებისთვისაც (მაგალითისთვის, ამ მხრივაც უკეთესია „კლდემძლეებმა“, „კლდეთამძლეებმა“ და ა. შ.).

დასასრულ, „კლდელახვას“ და „კლდემლახველს“ მრავალმხრივ სჯობს „კლდედრეკა“, „კლდემდრეკი“ (თუნდ „კლდემდრეკელი“), რომელთა ბუნებრივობასა და ხალხურობაზე საბუთები უკვე მოვიტანეთ წინა წერილში. მაგრამ უმჯობესის უმჯობესია ამოვიდეთ ისევ „მძლედან“, „მძლეთამძლედან“, „მძლეთამძლეობიდან“.

ზ. შერაზადიშვილი,
პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

● ●

„კლდელაშქრობა“, „კლდემოლაშქრე“, „კლდელაშქარი“

სიტყვა „ლაშქარი“ დამკვიდრდა ჩვენს მეტყველებაში. მას ახლა მარტო „ჯარის“ მნიშვნელობით არ იყენებენ — იგი ერთობლიობაა მრავალი ხერხის, ქცევის თუ მეთოდისა, რაც შეიძლება გამოყენებული იქნეს ადამიანის მიერ რაიმე მიზნის მისაღწევად, რაიმე სიძნელის, დაბრკოლების გადალახვად სპორტში იქნება ეს, თუ სხვაგან.

დიდი ქართველი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის ტერმინია „ლაშქარნადირობა“. სწორედ ამ სიტყვის გამოყენება მიმაჩნია მიზანშეწონილად სპორტის ამ ვაუკაცური დარგისთვის (скалолазание) — შევცვალოთ კლდეზე ცოცვა „კლდელაშქრობით“. კლდელაშქრობის მიმდევარ სპორტსმენს კი ვუწოდოთ „კლდემოლაშქრე“, კლდემოლაშქრეთა ჯგუფს — „კლდელაშქარი“.

ვ. კალანდაძე,
თბილისის ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ლაბორატორიის მუშაკი.

● ●

რედაქციამ მიიღო ბევრი წერილი, რომელთა ავტორებიც სხვადასხვა ვარიანტს გვთავაზობენ. მაგალითად, ქუთაისის № 1 სკოლა-ინტერნატის ფიზიკოზრდის მასწავლებელი შ. მანაბაძე მომხრეა, რომ „კლდეზე მცოცავის“ ნაცვლად ვიხმაროთ „კლდის მპყრობელი“, „კლდის დამპყრობი“.

ზ. ნიშარაძე (მაიაკოვსკის რაიონი, სოფ. მეორე ფერსათი) გვთავაზობს „კლდის მომდრეკს“ და „კლდის მომხრელს“.

ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთმშენებელი ქარხნის მუშა ვ. შარლაძე ეთანხმება უხუცეს მთამსვლელს ე. ლუკაშვილს — „კლდემსვლელობა“ მოსწონს.

ქუთაისელი სპორტის ოსტატ ვ. გაბელაშვილი საინტერესო სიტყვას გვთავაზობს — „კლდეთარკენა“, „კლდეთმრკენი“.

თავიანთი მოსაზრებები გამოგვიგზავნეს ვ. ნაცვლიშვილმა (როსტოვის ოლქი, ნოვოჩერკასკი), ბ. ქარჩაძემ (დუშეთის რაიონი, სოფელი მჭადჯვარი), დ. მიქაბერიძემ (თბილისი).

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ დისკუსიაში. კომპეტენტური აზრის გამოთქმას ვთხოვთ სათანადო დაწესებულებას.

რვა საზეიმობაში

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა გარდაბნის რაიონის სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო ხელბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, შაში, ჭადრაკი, ტყვიის სროლა და ჭიდაობა. შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ საწარმო-დაწესებულებების, კოლეგიურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნაკრები კოლექტივები.

ყველაზე კარგად მომზადებული გუნდები გამოიყვანეს თბილსრესის, განათლების განყოფილების, სოფელ დიდი ლილოს, ვარკეთილისა და სამგორის საბჭოთა მეურნეობების, დიღმის მევენახეობის, მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ფიზკულტურულმა კოლექტივებმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა თბილსრესის ნაკრებმა, II ადგილზე გავიდნენ დიდი ლილოს წარმომადგენლები, III — დიღმის მევენახეობის, მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის საკვლევი ინსტიტუტის სპორტსმენები.

ვ. ნუცუბიძე,
გარდაბნის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

მზიურელები — უძლიერესნი

მზიურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ამას წინათ გაიმართა მოჭადრაკეთა პირველობა, რომელშიც 12 კაცი ჩაება. კარგად ითამაშა მთავარმა ეკონომისტმა კ. ყოლბაიამ — 9 ქულა. II ადგილი ხვდა მძღოლ ა. ჭელიძეს — 8,5, III — კომკავშირის კომიტეტის მდივანს ზ. ნაყოფიას — 6,5.

გამარჯვებულებს ჯილდოები გადასცა პარტიეულის მდივანმა ვ. შარიამ.

* * *

დიდი ინტერესი გამოიწვია „კოლმეურნის“ რაისაბჭოს ინიციატივით გამართულმა რაიონის პირად-გუნდურმა პირველობამ რუსულ შაშში. სტარტზე 12 გუნდი გამოვიდა (თითოეულში 2 ვაჟი და 1 ქალი შედიოდა).

წარმატებით ითამაშეს მზიურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მოშაშეებმა. მათ 10 შეხვედრა მოიგეს და ყაიმს მხოლოდ ოქუმის სპორტსკოლის გუნდთან დასჯერდნენ. ჩემპიონთა გუნდში გამოდიოდნენ ო. ბეანია, ჯ. ჯეჯელია და რ. ქვარცხავა.

II-III ადგილები გაიყვეს ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ნაკრებმა და ოქუმისავე სპორტსკოლის გუნდმა.

დაფების მიხედვით უძლიერესის სახელი მოიპოვეს ო. ბეანიამ, ჯ. ჯეჯელიამ და ა. გამსახურდიამ. (ოქუმის სპორტსკოლა).

გ. ჯეჯელია.
(ჩვენი კორ.).

ხანაფინის სარეკორდო სიმაღლე

525 სანტიმეტრი — ასეთია ახლა ევროპის უმაღლესი მიღწევა დარბაზებისთვის ჭოკით ხტომაში. „ბურევესტნიკის“ მძლეოსანთა საკავშირო შეჯიბრებაში სწორედ ეს სიმაღლე აიღო სვერდლოვსკის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა, 23 წლის ი. ხანაფინმა. სპორტკლუბ „ურალმაშის“ მწვრთნელ ვ. ისაკინის აღსაზრდელმა ევროპის ადრინდელი მიღწევა, რომელიც ჰ. ენგელს (გფრ) ეკუთვნოდა, 2 სანტიმეტრით გააუმჯობესა, თავისივე საკავშირო რეკორდს კი 4 სანტიმეტრით აჯობა.

მოსკოვის ნორჩ პიონერთა სტადიონის მანეაში შესრულებული სარეკორდო ნახტომის შემდეგ იურიმ მსაჯებს სთხოვა თამასა 540 სანტიმეტრზე გაედოთ. იგი სამივე ცდაზე ახლოს იყო წარმატებასთან და, თუმცა ახალი ზღვარი ვერ გადალახა, მიაჩნია, რომ ამ სიმაღლის დაძლევა მისთვის უახლოესი მომავლის ამოცანაა.

სიმაღლეზე მხტომელთა შეჯიბრებაში საუკეთესო იყო მოსკოველი სტუდენტი ვ. სკვორცოვი — 210 სმ.

სხვა შედეგებიდან აღსანიშნავია მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის გ. ბესონოვის მაჩვენებელი სამხტომში — 16,03 მ (საუკეთესო შედეგი წლეულს საბჭოთა კავშირში), იაროსლავლელ ნ. რომანოვას გამარჯვება 400 მეტრზე — 57,0 წამი, ყაზახეთის წარმომადგენელ ლ. დემჩენკოს შედეგი 1500 მეტრზე — 4.26,4. მოსკოველმა მ. სუხორუკოვამ 100 მეტრზე თარჯრბენში 14,2 აჩვენა.

სპორტი მიმოვიხილეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეი რობინსონი

... ჯასტინ ჯლეი



მეორე დღეს იგი უფრო მშვიდი ჩანდა. ჩათვლიმა კიდეც. ნახა მომავალი ორთაბრძოლისადმი მიძღვნილი სატელევიზიო პროგრამა და ხმამაღლა იცინოდა, როცა ხედავდა, რა ჩაიდინა აწონის დროს. მაგრამ საქმე უინციდენტოდ მაინც არ დამთავრებულა. როცა მისი ხელთათმანების შესამოწმებლად გასახდელში შევიდა, ლისტონის მწვრთნელმა ვილი რედიშმა კასიუსს უსაყვედურა, აწონის დროს უტაქტოდ იქცეოდი.

— გამიგონე, ძმობილო, — კბილებში გამოსცრა კლეიმ. — მე შენ აქვე მიუბეგავ, შენს „დათვს“ კი იქ, რინგზე გავუსწორდები.

რედიში, რომელიც ერთ დროს თავადაც მოკრივე იყო, გულგასუქებული გადარდა ოთახიდან. კასიუსი წამოხტა და გაეცინა. მე და ბოუდენი რომ არა, არ ვიცი, რა მოხდებოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ლისტონის გასახდელში შევედი, რედიშთან მივედი და ვთხოვე, რომ კლეის საქციელისთვის ყურადღება არ მიექცია. „კლეი გიჟია, ნამდვილი გიჟი“, — მიპასუხა ვილიმ.

დაიწყო ბრძოლა. ეს ცემა-ტყეპა უფრო იყო, ვიდრე ორი თანაბარი ძალის მოკრივის შეხვედრა. კლეის ხელთათმანები ლისტონს მაშინ სცდებოდა სახეში, როცა ამას კასიუსი მოისურვებდა. მალე ლისტონს მთელი პირისახე სისხლით ჰქონდა დაფარული. მეშვიდე რაუნდში კასიუსმა ნოკაუტში ჩააგდო იგი და მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მე გადაწყვეტილება უნდა მიმეღო: ორთაბრძოლის წინ კასიუსმა მითხრა, რომ მრჩევლად სურდა მიეწვიე.

— კასიუს, — ვუთხარი ახალი მსოფლიო ჩემპიონის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე, — შენს წინადადებას ვერ მივიღებ. მინდა კიდევ გამოვიდე რინგზე.

იგი დამეთანხმა და ნიუ-იორკს გავემგზავრა. მალე გავიგე, რომ გადაწყვიტა მუსულმანური სარწმუნოება მიეღო. სახელიც შეიცვალა — მუჰამედ ალი დირქვა. რამდენიმე ხანს ერთმანეთი არ გვინახავს. მე ევროპაში ვიყავი, საქმე მქონდა, ნიუ-იორკში დაბრუნების შემდეგ დავურეკე. ძალიან გაეხარდა. მითხრა, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე ძალიან ვაკლდი. მეორე კვირაში კინგსტონში უნდა წავსულიყავი, მსოფლიო ჩემპიონობაზე მატჩი მქონდა და კლეის სეკუნდანტობა ვთხოვე. იგი სიხარულით დამეთანხმა. როცა კინგსტონში ჩამოფრინდა, აეროდრომზე ჩემს გარდა რამდენიმე ასეული კორესპონდენტიც ელოდა.

— დიდი მოკრივე № 2 მზადაა გემსახუროთ, სერ, — მომაძახა, როგორც კი თვალი მომკრა.

შინ წავედით. გზაში ვკითხე, რატომ მიიღო მუსულმანური სარწმუნოება.

— თეთრკანიანებმა დააქციეს მსოფლიო, — განაცხადა მან.

— სისულელეს ნუ ამბობ, შვილო.

—ალაჰი ერთადერთია, რომელიც ამ მრავალტანჯულ სამყაროს იხსნის.

მე მის სარწმუნოებას არ ვიზიარებდი, მაგრამ ეს ჩვენს კარგ მეგობრობას ხელს არ უშლიდა. ერთხელ მან მთხოვა ნიუ-იორკში ჩავსულიყავი, სადაც ზორა ფოლისთან ბრძოლაში თავისი ტიტულის დასაცავად ემზადებოდა.

— რეი, ჩემი სეკუნდანტი უნდა იყოთ!

— კარგი, შვილო. ხვალ დილით მედისონ სკვერ გარდენში ვიქნები, მინდა შენს ვარჯიშს დავესწრო.

როცა მეორე დილით დარბაზში შევედი, სამასი კაცი მაინც უყურებდა კლეის ვარჯიშს.

— ხელმწიფე, დიდი ოსტატი, ჩემი კერპი, — იყვირა მან, როგორც კი დამინახა. ხალხმა ჩემსკენ გამოიხედა.

— რჩი რობინსონი, — გამოაცხადა კლეიმ. — უდიდესი დიდებულთა შორის, — შემდეგ გაიღიმა და დასძინა: — ჩემს შემდეგ.

ყველას გაეცინა.

კლეი ჩინებულ ფორმაში იყო. ფოლი მეოთხე რაუნდში ნოკაუტში ჩავარდა. გამაოცა კასიუსის სისწრაფემ. იგი ავაზასავით დაპქროდა რინგზე, რაც ბევრ მატოქესთან შედარებით დიდ უპირატესობას ანიჭებდა, მაგრამ, მე ვფიქრობ, სისწრაფე მუდამ ვერ იხსნიდა კასიუსს. ჯო ლუისის ტიპის მოკრივე რომ შეხვედროდა, კლეის იქნებ არც დარჩენოდა გამარჯვება. მეტოქის ფიზიკური ძალა და ამტანობა კარგ ტექნიკურ მომზადებასთან ერთად სულ დაუკარგავდა ფასს მის სისწრაფეს. სწორედ ეს ვუთხარი ფოლისთან შეხვედრის შემდეგ, ვთხოვდი, რომ მეტი ყურადღება მიექცია ამტანობისა და ძალისთვის.

გავიდა თვე. ერთ საღამოს, ასე 11 საათზე, დამირეკა.

—როგორ არის საქმე, შვილო? — ვკითხე მე.

— უნდა მოგელაპარაკო, მოხუცო, ახლავე, ამ წუთში. შეგიძლია მოხვიდე?

იგი მიდტაუნში ცხოვრობდა. ავედი და კარზე დავაკაკუნე. თვითონ გამიღო.

— რა მოხდა, შვილო?

— არმია...

— რა არმია?

— არმიაში მიპირებენ წაყვანას.

— ვიცი. გაზეთებში დაიბეჭდა.

— მაგრამ მე არ მინდა არმიაში წასვლა, არ მინდა სროლა, კაცის კვლა. არ მინდა, არ მინდა. თეთრები დაგვიცინიან მხოლოდ იმიტომ, რომ შავკანიანები ვართ. მაგრამ ისინი სულაც არ არიან წინააღმდეგი გაგვგზავნონ ომში, სასარბაზნე ხორცად გამოგვიყენონ, — სასვეზე რისხვა ეხატა. — თან ელიას მუჰამედმა მითხრა, არ წასხვიდეო.

— სულ არ მაინტერესებს, რას ამბობს შენი მუჰამედი. საკუთარ თავზე იფიქრე. თუ არმიაში წასვლაზე უარს იტყვი, ციხეში ჩაგაგდებენ, ტიტულს ჩამოგართმევენ. ნუთუ არ გესმის?

— არ წავალ. ეს ჩემი საბოლოო გადაწყვეტილებაა. მადლობელი ვარ, რომ მოხვედი.

იგი წამოდგა და ჩვენ ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს. თვალებში ჩავხედე. კლეი ტიროდა. ეს რისხვისა და სიძულვილის ცრემლები იყო. ასეთი იყო ჩვენი ბოლო შეხვედრა. მალე კასიუსი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. იგი გასაწვევ პუნქტში არ გამოცხადდა და იმავე დღეს ჩემპიონის ტიტული ჩამოართვეს. ეს სულმდაბლური საქციელი იყო. კრივის ყველა მოყვარულისთვის კლეი ისევ ჩემპიონია. ეს წოდება მან რინგზე მოიპოვა და მისი დაკარგვაც მხოლოდ რინგზე შეეძლო.

ინგლისურიდან თარგმნა

ბ. ჯაფარიძემ.

* * *

სურათებზე: ზევით — სონი ლისტონი ნოკაუტირებულია; ქვევით — სასამართლო პროცესი, სადაც კასიუს კლეის ჩამოერთვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება, აეკრძალა რინგზე გამოსვლა და დაჯარიმდა ფულადი გადასახადით.

დასასრული. იხ. „ლელო“ № 31.

16 ფიფალისის სპორტიდან

პელე ასე ფიქრობს

— დასახელეთ გუნდები, რომელთაც ყველაზე მეტი შანსი აქვთ მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვებისა, — ამ თხოვნით მიმართეს პერუელმა ჟურნალისტებმა ლიმაში პელეს.

პელემ დასახელა 4 გუნდი: ინგლისი, იტალია, ჩეხოსლოვაკია, ბრაზილია.

ჯელეგადაცემები მექსიკიდან

მექსიკის ტელევიზიის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, მსოფლიო ჩემპიონატის რომელი მატჩების გადაცემა აქვს განზრახული ევროპისთვის წინასწარ ტურნირში (ჯგუფებში). გადაცემები მოეწყობა ორი თანამგზავრის მეშვეობით.

31 მაისი. სსრ კავშირი — მექსიკა.

2 ივნისი. რუმინეთი — ინგლისი, პერუ — ბულგარეთი.

3 ივნისი. იტალია — შვეიცარია, ჩეხოსლოვაკია — ბრაზილია.

6 ივნისი. სსრ კავშირი — ბელგია, ურუგვაი — იტალია.

7 ივნისი. ბულგარეთი — გფრ, ინგლისი — ბრაზილია.

10 ივნისი. გფრ — პერუ, ურუგვაი — შვეიცარია.

11 ივნისი. ბულგარეთი — მაროკო, ინგლისი — ჩეხოსლოვაკია.

„მწვანეები“ და „თეთრები“

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელები შეუდგნენ აქტიურ მზადებას მსოფლიო ჩემპიონატისთვის. მზადების პროგრამა ვრცელია: მძლეოსნობა, ტანვარჯიში, სპორტული თამაშები.

ამას წინათ შედგა ორმხრივი საწვრთნელი თამაში. იგი ასეთი შემადგენლობებით ჩატარდა: „მწვანეები“ — მაიერი (ვოლტერი), ჰიოტგესი, ბეკენბაუერი, შულცი, ფოგტსი, ოვერატი, ნეცერი, ლიბუდა, ზეელერი, გ. მიულერი, გრაბოვსკი; „თეთრები“ — მანგლიცი, ლ. მიულერი, ზელოფი, ფიჰცალი, ლორენცი, ჰორი, ვებერი, ლაუმენი, პაინკესი, ჰელდი, ნოიბერგერი.

ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს „მწვანეებმა“. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს გ. მიულერმა, ფოგტსმა, ნეცერმა, ხოლო დამარცხებულთაგან — პაინკესმა და ლ. მიულერმა.

მხოლოდ ცოტა ხნით

ოქროს ჭალმერთ წიკეს ქანდაკება სულ ცოტა ხნით, ასე ვთქვათ, სეანსის სახით აჩვენეს მეხიკოს მცხოვრებლებს. იგი სადემონსტრაციოდ გამოტანილი იყო ცენტრალურ უნივერსალურ მაღაზიაში. ქანდაკება მოათავსეს სპეციალურ სადგომზე შუა აუზში, რომელიც აქ მოწყობილია შენობაში ჰაერის გასატენიანებლად. და ყარაულად დაუყენეს 12 პოლიციელი. ყოველი შემთხვევისთვის...

მასთან ერთად მოახდინეს იმ ბურთების დემონსტრაცია, რომლებიც შერჩეულია მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩებისთვის.

ნაკრები ურივეროდ?

იტალიის 97 ჟურნალისტის მონაწილეობით მოეწყო ანკეტა ერთადერთი შეკითხვით: შეადგინეთ იტალიის იდეალური ნაკრები.

გამოკითხვის შედეგად ნაკრები ასეთი გამოვიდა: ძოფი, ბურგნიჩი, პუია, სალვადორე, ფაკეტი, ბერტინი, დე სისტი, დომენგინი, მაცოლა, ანასტაზი, რივა.

გაკვირვებას იწვევს, რომ ნაკრებში არ არის 1969 წლის ევროპის № 1 ფეხბურთელად აღიარებული ჯ. რივერა. მაგრამ ჟურნალისტებს ერთი აზრი აქვთ, ნაკრების უფროს მწვრთნელს ვალკარეჯის კი სხვა.

1970 წელს

1970 წელი მნიშვნელოვანი მოვლენაა საერთაშორისო ფეხბურთის ცხოვრებაში. ჯერ ერთი, მექსიკის დედაქალაქში შედგება მსოფლიოს IX ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩები. მეორე დაიწყება მრავალი ოლიმპიური თამაშების შესარჩევი შეხვედრები. ამას გარდა, 23 ივნისს მეხიკოში გაიმართება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის 37-ე კონგრესი, რომელიც აირჩევს პრეზიდენტს მომავალი 4 წლის ვადით. ამ კონგრესზე გადაწყდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: ჩატარდეს საკონტინენტთაშორისო თასის ოფიციალური გათამაშება საკლუბო გუნდებისთვის აფრიკის, ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკის, სამხრეთ ამერიკის, აზიის, ევროპისა და ოკეანიის წარმომადგენლებისთვის.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

მაკლეოსნობა. ლენინის სახელობის სტადიონი. დღეს. საქართველოს იუნიორთა პირველობა. დასაწყისი 11 ს.

საიდუმლო მატჩი

ბაკუ, 13 თებერვალი. ბადმინტონის შვედი ოსტატები, რომლებიც ჰოლანდიაში „თომასის თასის“ გათამაშებაში ასპარეზობენ, იძულებული იყვნენ ნახევარფინალური მატჩი ეთამაშათ... ცარიელ, დაკეტილ დარბაზში, თანაც ოფიციალურად გამოცხადებულზე 6 საათით ადრე. შეჯიბრების ორგანიზატორებმა მატჩი მაყურებლებს „დაუმალეს“ საპროტესტო დემონსტრაციის შიშით: შვედების მეტოქეები ხომ რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ბადმინტონისტები იყვნენ.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 04149